ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2016 წლის 04 ოქტომბრის N10/17604 წერილის თანახმად გიგზავნით, საკრებულოს წევრის აწგარიშს.

დანართი: „3" ფურცელი.

პატივისცემით,
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოებისა და არქივის სამმართველო
შემოსულია: 20.10.2016 4 ფურცელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ნუგზარ მალაღურაძის

2016 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"- ს მე-12-ე, მე-13-ე მუხლების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 13 და საკრებულოს 19 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა საკრებულოს 75 დადგენილება და 341 განკარგულება. ვმონაწილეობდი, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 16 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 307 საკითხი. ჩავატარე სარევიზიო კომისიის 11 სხდომა, სადაც კომისიის წევრებთან ერთად განვიხილეთ 61 საკითხი. ვმონაწილეობდი ფრაქცია „ქართული იცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" მიერ გამართულ 9 სხდომაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ გამოცხადებულ და ჩატარებულ მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში.

გახლავართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრი. საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საბჭოს 38 სხდომა, სადაც განხილულ იქნა1606 საკითხი, მათ შორის 987 საკითხი გადაწყდა დადებითად. ვმონაწილეობ, სსიპ „ქონების მართვის სააგენტო"-ში შექმნილ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის

მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ კომისიაში. კომისიის მიერ ჩატარდა 4 სხდომა, სადაც განხილული იქნა 36 საკითხი.

თბილისის მერიაში 2016 წლის 6 აპრილიდან შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია, სადაც ვმონაწილეობ, როგორც კომისიის წევრი. კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია კომისიის 3 სხდომა და განხილულია 51 საკითხი.

ასევე გახლდით, თბილისში ახალი ავტობუსების შესაძენად გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერის ჩატარების მიზნით, შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის წევრი, სადაც კომისიის მიერ გამოვლენილ იქნა ტენდერში გამარჯვებული, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 143 ერთეული ავტობუსის მოწოდებაზე. დღეის მდგომარეობით ხელშეკრულების ფარგლებში ექსპლუატაციაში შესულია 10 ერთეული ავტობუსი, რითაც მოხდა არსებული მუნიციპალური ტრანსპორტის ჩანაცვლება. დარჩენილი რაოდენობის მოწოდება ხელშეკრულების თანასმად ხორციელდება ეტაპობრივად, რომელიც დასრულდება 2017 წლის მარტის თვემდე.

როგორც საკრებულოს წევრმა და ამავე დროს, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ინიცირების წესით 2016 წლის პირველ კვარტალში წარვადგინე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დებულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ" პროექტი, რომელიც 2016 წლის 18 მარტს საკრებულოს მიერ იქნა მიღებული.

მოქალაქეთა მიღებაზე და ასევე სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მივიღე და მოვუსმინე 97 მოქალაქეს. შევისწავლე და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირეაგირება მოვასდინე ჩემს სახელზე შემოსულ 21 განცხადებაზე. სარევიზიო კომისიასთან ერთად შევისწავლე და რეაგირება მოვახდინე ასევე, კომისიის სახელზე შემოსულ 15 კორესპოდენციაზე (განცხადება, საჩივარი, წინადადება).

როგორც საკრებულოს წევრმა და ამავე დროს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ უფლებამოსილების ფარგლებში განვახორციელე 94 (სარეკომენდაციო) მიმოწერა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

სარევიზიო კომისია, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ამოწმებს ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების საბიუჯეტო თანხებისა და მიღებული შემოსავლების სარჯვის კანონიერებასა და მიზნობრიობას. როგორც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, უფლებამოსილების ფარგლებში სარევიზიო კომისიასთან ერთად, კომისიის სამუშაო გეგმის თანასმად, 2016 წლის მიმდინარე პერიოდამდე სარევიზიო შემოწმება ჩავატარეთ 21 ორგანიზაციაში, ხოლო 4 ორგანიზაცია შემოწმების პროცესშია.

სარევიზიო კომისიის მიერ, 2016 წლის მიმდინარე ეტაპამდე შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

ასევე, უფლებამოსილების ფარგლებში კომისიასთან ერთად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ოთხი შემოწმება-ანალიზის დასკვნა მასალებთან ერთად, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილი იქნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. კერძოდ:

1. მოქალაქის განცხადების საფუძველზე შესწავლილი ჩატარებული ტენდერის კანონიერება;
2. სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი"- ს საქმიანობის მასალები;
3. ააიპ "სანდრო ასმეტელის სახელობის დრამატული თეატრი"-ს საქმიანობის მასალები;
4. ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბიბლიოკური ბალის"-ის საქმიანობის მასალები.

პატივისცემით,
საკრებულოს წევრი

ნუგზარ მალაღურაძე